

ხელის-მრ. ვეჩა

ქიქელბა „დაბეზება“ „აგაბიის“ დაქადაგებათ. უბეზებ  
კახეზებთანთაგან: Въ Тифлисъ , въ ре-  
Дროზბა“ „Иверин“

„დროება“-ივენიის-ფან

წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს

დარეკებისა, ,,ივერთას“ ერთად. . 13 მან. . 7 მან. . 4 მან.  
 ცაფქი | ,,დარეკებისა“ . . . 9 მან. . 5 მან. . 3 მან.  
 ,,ივერთას“ . . . 6 მან. . 4 მან. . 2 მან.  
 ბაკურბაშისა, ,,დარეკებისა“ დამხ 5 კმ., ,,ივერთას“ 2 მან.

გამოდის უძველ-დღე ოჯახებათს გარდა

მომავალ 1881 წელს ყოველ-დღიური გაზეთი „დროება“ გამოცა იმავე პროგრამითა და რიგით და იმავე თანამშრომელების დახმარებით, როგორც აქამდისინ გამოდიოდა. როგორც იმ თავიდან, გაზეთის დაარსებიდანვე ცდილობდა რედაქცია, რომ მუდამ წელიწადს, ცოტ-ცოტათი მაინც, შეძლების-და-გეარად, გაეარგებინა გაზეთი, ისე მომავალ წელსაც ეცდება და იმედი აქვს რომ ზოგიერთი სასიკეთო ცვლილება შემოიღოს გაზეთში და გააუმჯობესოს იმის გამოცემა.

„იმპრია“ კი მომავლის წლიდამ გამოცა თთვე-და-თთვე, **ახალის**, უფრო  
გრძელას პროგრამით და **ახალ** თანამშრომლების დახმარებით. **პოველ**, წიგნ-  
მა დაეძგება არა-ნაკლებ 4 დიდის თაბახისა.

მახავალის წლის პირველი წიგნი ხელის - მომწერლებს დაურიგდებათ სწორედ პირველს იანვარს და რედაქციას სრული იმედი აქვს რომ შემდგომ წლებში ყოველი წიგნი იქნება დათმობილი თითო პირველს რიცხვს.

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში: „ღრუბა-ივერიის“ რედაქციაში, ბალაგინის პროსპექტზე  
მ. კ. მჭებრიას სახლში, კოლხის ქვემოთ.

ქუთაისში: რედაქციის აგენტთან ბ. ი. ჭყონიასთან (სილაზე, მ. ჭყონიას სახლში).

ქურონალი: Въ Тифлисъ. Въ редакцію Дрозба - Иверіи.

၈၆၈:

|                                      | 1 წელით | 6 თვით. | 3 თვით. |
|--------------------------------------|---------|---------|---------|
| „დროებს“ და „ივეკნება“ ორივე ერთად — | 14 მნ.  | 8 მნ.   | 5 მნ.   |
| „დროებს“ ცალკე — — —                 | 9 „     | 5 „     | 3 „     |
| „ივეკნება“ ცალკე — — —               | 7 „     | 4 „     | 2 „     |

სხვა იადით ხელოს-მოწერა არ შეიძლება.

სხვა ცადიმი სტალინისა-მარჯვენა და მარცხენა ხელის  
ხედილი ფული ხელის-მოამწერმა ჟურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანავე  
უნდა გამოგზავნოს რედაქციას.

| ილია ჭავჭავაძე

რედაქტორები „დროება-ნიპერიისა“ ილია ჭავჭავაძე  
სერ. მესხი.

«დროების» ფელტონი, 30 ჟგუზი.

სამე - სუმე.

ჩემი გასკვირვება ერთი გოგონას  
შინადაცნობის გამო. — მამაველი რჩე-  
ვები ქალაქ გორის სამხატვრო სკოლაში.  
— განდიდებული, რომლებიც "თა-  
ლისის თეატრალში", თუ "განცხადე-  
ნებში" წარმოგვიდგინეს. — მათი  
სახეები. — ჩემი განდიდებული. — შინ-  
ტეები. — ვინ ვის მამა ტყუილს? —  
გორელების უთაურთა საზოგადო-  
საქმეში. —

„აქუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-  
ნახირაო,“—ამ ანდაზის, არ იყოს,  
მეც, მკითხველო, უნდა გავერიო  
მწერლებში, კალმების მწველებლებ-  
ში, რაღა, ემ ჩემის „რამე რუმეთი,“  
დმერთი და ბედი! პარველი ნაბიჯი,  
ამბობენ, ყოველთვინ სუსტიაო. მიუ-  
ვინიცობა ეს ჩემი პირველი ნაბიჯი  
მართლა სუსტი გამოდგეს, ბოდიშს  
ეხბდი მკითხველთან, როგორც ახლად  
მწერლობის ასპარეზედ გამოსული;  
და ამასთან იმედს მივეცემ, რომ რაც  
შეიძლება შემდეგში ჩემი „რამე რუმე“

თან-ღი-თან გაფხიანდეს, გააღმას-  
დეს..

აბა, მაშ დავიწყეთ, რაღა.

ზანა არა, ერთმა ჩემმა კარგმა მეგობარმა მითხრა, რომ კაცს ამ ოხერ ქვეყანაზე არა უნდა გაუყვირდეს-რაო. აბა, მითხარ, რა არის ქვეყანაზე გასაკვირველიო, საარაკო ვის რა უქმნიაო? ჩემის აზრითო, გაკვირვება პირველი და უკანასკნელი ნიშანია გონების სიბნელისა, გაუნათლებლობისაო.

ზონების თვალთ რამ შეხედამს  
კაცი ამ საგანს, მაშინ რაღა ჩიჩინ  
უნდა, მართალია, რომ გაკვირვებ  
რამე<sup>მე</sup> სიბრყვის ნიშანია, მგრან  
დასწყევლა ღმერთმა, კაცის ბუნება  
ისეთია, რომ უნებლიეთ გაიოცებ  
იმას რაც სრულებით გასაოცარი არ  
არის. აი იმდღესაც, ღმერთმანი, რა  
დაც საქმისათვის ჩამოვარე ზორში  
სოფლიდგან; ბაზარში ჩავიარე დ  
ერთი დიდი, უშველოებელი ღორი  
დავინახე და უნებლიეთ ისეთი წამო  
ვიყვირე, რომ ბაზარს ბიჭებმა სიცი  
ლი დამაყარეს. აბა, თქვენი ჭირიმეთ  
ზორში რა გასაკვირველია დიდ—  
თაშვიანი ღორის ნახვა!

(საფლავთა მკურნის საბავშვო)

პატიმრული, 23 დეკემბერს. ხმა  
არის, რომ სახელმწიფო ბანკის მმარ-  
თველი ლამანსკი თავის ადგილს სტო-  
გებსო.

ლონდონი, 23 დეკემბ. ირლან-  
დიიდან იწერებიან, რადგანაც ირ-  
ლანდიაში საიდუმლო საზოგადოება  
გამოუჩენიათ, რომელსაც უნდა გაე-  
მართა ბირმინგამში და ლივერპულში  
თოფხანა, მმართველობამ ფიცხელი  
განკარგულება იხმარა ამ საზოგადოე-  
ბის წინააღმდეგო. აპზობენ, მონი-  
ტორის (ცეცხლის-გემის) „ლორდ-  
პერდენის“ ქვეშ ტორპედები (ასა-  
ფეთქი ლალმები) უპოვნიათ გაკეთე-  
ბული. ამ საქმეს ირლანდიის ფენიებ  
(რეგალიოუციონერებს) აბრალევენ.

სტამბოლი, 23 დეკ. ბუშინ ელ  
ჩებმა წარუდგინეს პორტას საზოგადო  
ლო წერილი მედიატორეთა სასა  
მართლოს შესახებ.

ათინა, 23 დეკ. ამბობენ, მეროპის სახელმწიფოებმა ხელ-ახლად მისცესო რჩევა ათინის მმართველობას შესახებ მედიატორებით საქმის გადწყვეტილებისა. მოკლე ხანში იარაღის ქვეშ იქმნებიან მოწოდებულნი რეზერვის მხედრობა, ნაციონალური გვარდია 32.000 ჰასაკით 30-40 წლამდის.

მა კიდევ არაფერი. ში უფრო კარ-  
გი: ერთ დილას ვზივარ ბუხართან  
და მოწყენილი უცქერი ცეცხლის  
ტრიალს, ღუდღუდს; მისი ბუტბუტით  
გულს ვირთობ. მნახოთ, კარი გაიღო  
და ბიჭმა შემომიტანა რამდონიმე  
ნომერი „ღროებისა.“ გიამოთ ყოვე-  
ლი სიკეთე, მე იმათი დაწახვა მიამა.  
მოგეხსენებათ, სოფლათ ცოტა არ  
იყოს გვიან-გვიან მოგედის გაზეთები...  
ღიახ, მიამა. ღვაცხერი შშიერსავით  
პირველსავე ნომერს; ხელში შემარჩა  
№ 261, თორმეტი დეკემბრისა. ჩემი  
ჩვეულებისამებრ ჩაუარე შინაურ საქ-  
მეებს, და ზორიდგან კორრესპოდენ-  
ცია რომ ჩავიკითხე ბოლომდინ, ამ  
სიტყვების შემდეგ:

შურო ახალი ამბავი: ზარელები  
თავს—ლოლოვას დაეძებნ და ვერ  
უპოვიათ; ყველა უთაონი გამომ-  
დგარან. თქვენი ჭირიმეთ, გვიშველეთ  
რამე!!“

წამოგორდი უნებლიეთ, ინსტიქტი-  
ურად და თავზე ხელი მოვივლე.  
წარმოიდგინეთ, მეც ჩემი თავი უთა-  
ვო მეგონა! სხლა რათა იმათა რომ  
შარშან ზამთარს რამდენიმე თვე დაე-

პარიში, 23 ჟკ. მედიტორების  
გადაწყვეტილებაზე უარის თქმა, პორ-  
ტის მხრით, არ იქნება მისი უკა-  
ნასკნელი სიტყვა. რუსეთი და ინგ-  
ლისი მტკიცედ იჭერენ საფრანგეთის  
მხარეს ამ შემთხვევაში.

კატეგორია, 24 დეკემბ. ზუზინ  
ხელომწიფე ინახულა ნორდენშიელი.

ბაზ. „სხალი დროება“ სწერს, რომ  
ძავეასიის სანამესტინკოში ცვლილების  
მოხდენაზე და იმის ორ საგენერალ-  
გუბერნატოროთ დაყოფაზე ხმა ჯერ  
უღრუო ხმა არისო.

ლონდონი, 24 დეკ. ზუშინ ირ-  
ლანდიის საქმეებზე მოსალაპარაკებ-  
ლად იყო მინისტრების სხდომა.

პოპუტადი, 24 ლკ. დაიარაღებული  
ბოერების გროვა შემოესია ნატალს  
და ცდილობენ ინგლისის ჯარი შეა-  
ყენონ.

ლონდონი, 25 დეკემბ. პარლამენ-  
ტი გაიხსნა „სატახტო სიტყვით“, რო-  
მელიც წაკითხულ იქმნა ლორდის  
სელნბორისგან. ზემოპალატაში ცო-  
ტა ლორდები დაესწრნენ, მეორე  
(ქვემო) პალატაში კი ბევრი დეპუ-  
ტატებია. სატახტო სიტყვაში მოხსენ-  
ებულთა საზოგადო მეროპის მშვი-  
დობიანობა არ იქნება დარღვეული.  
მმართველობას აქვს მოლაპარაკება  
სხვა კაბინეტებთან, რომ საბერძნე-

ყვე ქ. ზორში, და ეს ჭირი—უთაობა ხომ არ გადამედო—მეთქი. უმადლობა უფალსა შემდეგ რამდენსამე გასინჯვისა, დავრწმუნდი, რომ თავი ისევ მხრებზე მადგა. ოხ, დამწრო! რა გითხრა ამ წამისთვის, რომელიც მე შენ მომაყენე. არა, თქვენი ჭირიმეთ, მე რა მაგიჟებდა მე რა მაცვიფრებდა, როდესაც რომ ქვეყანამ იცის ზორის უთაობა!..

მტყუბა, ეს ჭირი გადამდები ყოფილა, თორემ ერთი როგორ არ მოიძებნა-მეთქი თავიანი. ის დღე და ეს დღე, რამდენი საქმე მქონდა და მე ზორისკენ ფეხი აღარ გამიდგამს. ბეჩა, რა ხუმრობაა: თავიანი კაცი, საღი-სალამათი, ჩახვიდე, და უთაო დაბრუნდე!? იპი—პი! რა კარგია!?

ხუმრობა გაშეგებითა და ეხლა ბორ-  
ში დიდი ფაცა-ფუცია თურმე. ქალა-  
ქის პატრონებს ირჩევიან.

27 პირველის ხარისხის ამომჩვე-  
ლების სტდომა იქნება, 28-ს მეორესი  
და 29 მესამესი; თვითეული ხარისხი-  
დამ უნდა ათ-ათი ხმოსანი აირჩი-  
ოს.



თის საქმე მორიგებით გათავდეს და იმედია, რომ მშვიდობიანობა აქნესო. მმართველობას იმედი აქვს ამასთან, რომ ბასუტოსებთან ომიც მშვიდობიანად გათავდეს. შანდარის დიდხანს დაჭერა სანებში არა აქვს მმართველობას. ტრანსვალში გაუქმებულია არმიამი და ფლოტში მოსამსახურე პართა სხეულით დასჯა. ირლანდიის საქმეებისთვის მმართველობა სთხოვს პალატებს სხვა-და-სხვა უფლებას, რომ აღადგინოს წესი და დაიცვან სიკაცხლე, საკუთრება და თავისუფლება მცხოვრებთა. მმართველობას ჰსურს ადგილ-მამულის შესახებ კანონებს 1870 წლისა დამატოს ახალი კანონები; ირლანდიაში, ინგლისის წაბადებით, უნდა იქმნეს შემოღებული ადგილობრივი ავტონომია. ჟორსტერმა განაცხადა პალატაში, რომ ის შეიტანს წინადადებას მასზე, რომ ირლანდიაში უკეთესად იქნას დაცული მცხოვრებთა სიკაცხლე და ქონება. ირლანდიის დეპუტატი პარნელი აცხადებს, რომ ის იქნება ამ წინადადების წინააღმდეგი. ბლადსტონმა განაცხადა, რომ ორშაბათიდან დაწყებული ის ყოველ დღე სთხოვს პალატებს, რომ ზემოთ თქმულ წინადადებით უპირატესობა მიეცეს გარჩევაში.

**პეტერბურგი, 27 აპრ.** სამეცნიერო აკადემიის თავის-მჯდომარემ გრაფ ლიტკემ ორს რუსს—აკადემიკოსს კმაყოფილება გამოუცხადა იმისთვის, რომ ესენი თანხმა არ იყვნენ შვედის დოცენტის ბ. კლენდის აკადემიკოსად ამორჩევაში.

მექარხნის ნაბელს დღეს დიდი სადილი აქვს მეცნიერ მგზავრის ნორდელ-შეილდის პატივის-საცემლად.

**ათინა, 26 აპრ.** ინგლისის ელჩმა აცნობა ქუმენდურუსს, რომ ინგლისი შეუერთდა სხვა სახელმწიფოებს,

ზორის მცხოვრებნი თავიანები არიან, თუ მართლაც უთხოვია, აი ეხლა გამოჩნდება. „შეითელი ოქრო შავი დღისთინაო“, თუ რამე სიკეთე გინდათ ქალაქისთინ, თუ შეწევნა, ხელის გამართვა გინდათ საზოგადოთ მთელი ქალაქისათვის, აი ეხლა გამოჩნდება. ლაუმტკიცეთ მთელ ქვეყანას, საზოგადოებას, რომ თქვენ თავიანები ხართ, და არა უთხოვებო, როგორ შეგამკოთ კორრესპონდენტმა, და ამის დამტკიცება ძალიან ადვილია:

აგერ ოთხი წელიწადი გავიდა, რაც ზორს მიენიჭა თვით-მმართველობა. მაიგონეთ შეისმინეთ, თუ რა სიტყვაა: თვით-მმართველობა! ეს არის თავის-თავის თავისავე ხელით მოვლა; თავის-თავად თავის შენახვა და დაცვა, გესმისთ?

აბა, ახლა გულზე ხელი დაიდეთ და მითხარით ამ ოთხ-წელიწადში რის გაკეთება შეეძლოთ ქალაქის მმართველებს, პატრონებს, და რა გააკეთეს? ბევრი, ძალიან ბევრიო, მიპასუხებო. სრულიადაც არაფერი, ფარნების და ხანძრავის დევნის მე-

საბერძნეთის საქმეების მედიატორებით გათავებაზე და ურჩევს საბერძნეთს, რომ დათანხმდეს ამ წინადადებაზე. კოროლიან მოლაპარაკების შემდეგ, ქუმენდურუსმა მოახდინა მინისტრების რჩევა, რომელიც სამი საათი მეტი გაგრძელდა.

**ბერლინი, 27 აპრ.** დღეს დაბრუნდა აქ თ. ბისმარკი.

**სტამბოლი, 27 აპრ.** საფრანგეთისა და ავსტრიის მოთხოვნით, ოსმალთა მთავრობამ მიიღო მთავარი პრენკი გათავისუფლა.

### სოფლის ბიბლიოთეკა

ტფილისი, 30 აპრ.

წელს „წერა-კითხვის საზოგადოების“ კრებაზე ერთმა წევრმა წარმოსთქვა ორიოდე სიტყვა ბიბლიოთეკის დაარსებაზე სასოფლო სკოლების მასწავლებელთათვის. როგორც გვახსოვს, არა-მარტო პედაგოგიურ ბიბლიოთეკაზე იყო ლაპარაკი.

მა აზრი შეუსრულებელი დარჩა, რადგან თვით აზრი გარკვევით და ვრცლათ არ იყო. განმარტებული არც საზოგადოების წინაშე და არც ჟურნალ-გაზეთში. ჩვენ დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ იმ აზრის შესრულებას და ამისათვის გვსურს მაღალაპარაკოთ მასზე.

ამ შენიშვნაში ჩვენ არაფერს არ ვიტყვით პედაგოგიურ ბიბლიოთეკაზე, რადგანაც მისი დიდი მნიშვნელობა მასწავლებელთათვის ყველასთვის ცხადი და უეჭვოა. მიტყვით მხოლოდ იმას თუ რა მნიშვნელობა ექნება ჩვენში ხალხის განათლებისა და ლიტერატურისათვის იმისთანა ბიბლიოთეკის დაარსებას, რომელიც მისცემდეს საშუალებას მასწავლებელთ,

რომლის შემდეგაც (ე. ი. ხანძრავის შემდეგ) ქალაქმა, გადავიდა რა ფარნები ახალ მეიჯარადრესხელში, ყური აღარ უგდო და ეხლა თითქმის უფრონათ არის. მართი მითხარით, რაზე იზრუნა ქალაქმა: წყლისგან წაღება მოელოდა და მიიღო რამე ზომიერება? არა. მთელი ორი ახლად, გაშენებული უბანი წაიღო წყალმა ისეთი კოპწია, ლამაზი ბაღები, რომ მტერსაც კრემლს მოჰგვრიდა იმათი დაკარგვა, — იზრუნვა რამე? არა. შევლამ იცოდა, რომ ხიდს წყალი წაიღებდა, იმას საფუძვლიანი დაკრება უნდოდა; მაგრამ იზრუნვა ვინმემ? არა; მხოლოდ ოდნე მიაფაფრეს, რომ ხალხისათვის დაენახებინათ. რამდენი ათასი მანეთის ზარალი მოუვიდა ამითი ზორს — ეს ყველამ იცის ეხლა. შევლამ იცოდა, რომ პაროში არა კმაროდა, და თუ იქმარებდა, რიგინი მაინც უნდა ყოფილიყო. მაგრამ თავს შეიღო ვინმემ ამაზე? არა. შევლამ იცოდა, რომ აგეხიდი გადებულიყო, აპრილამდინ 1881 წლისა წყალი ვერას დააკლებდა, მაგრამ იზრუნვა ვინმემ? არა. მხოლოდ

თვალ-ყური ადევნონ არა მარტო პედაგოგიას, არამედ საზოგადოთ მეცნიერებას და ლიტერატურას.

მასწავლებლის უმთავრესი და უპირველესი მოვალეობა და დანიშნულება არის ყმაწვილების გონების გაფარჯიშება, მათი გონებისა და ზნეობის შემუშავება, რომ ადვილათ შეითვისონ სწავლა როგორც სკოლაში, აგრეთვე ცხოვრებაში, და შეიტანონ თავის დედა წრეში ცოდნა, კარგი ზნეობა და პატიოსანი გრძნობანი.

ეს არის მოვალეობა ყოველის მასწავლებლისა ყოველს ქვეყანაში.

იმ ქვეყანაში, სადაც სწავლა-განათლება ერთობ ნაკლებათ არის გაფრცხლებული, სადაც ხალხს არ მიჰყვანია განათლების შუქი, იქ მასწავლებლის დანიშნულება უფრო ვრცელი და დიდ მნიშვნელობიანია; მისი მოვალეობაა არა მარტო მოზარდი თაობის აღზდა და განათლება, არამედ ხალხის ხელმძღვანელობა, მისი ინტერესების დაცვა, მისი ცხოვრების შესწავლა. ბნელ ხალხში სოფლის მასწავლებელი ერთად-ერთი ლამაზია განათლებისა და ამისათვის ეს ლამაზი ნიადაგი და განუქრობელი უნდა იყოს.

ამისთანა ქვეყანათ მიგვაჩნია ჩვენ ჩვენი სამშობლო და ამისთვის ამ ძნელ დანიშნულებას ეძღებთ ყალბი ხალხის წინაშე ჩვენის სოფლის მასწავლებლებს. ჩვენი ხალხი რომ უფრო განათლებული იყოს, მაშინ, რასაკვირველია, მასწავლებლების მნიშვნელობა უფრო მცირე და მსუბუქი იქნებოდა; სწორეთაც აგრე არის სხვა უფრო განათლებულ ქვეყნებში, სადაც ხალხი უფრო მაღალ ხარისხზე სდგას და იმდენათ გავითარებულია, რომ თავის ინტერესების დაცვა თითონ შეუძლია; სადაც მეტი განათლებულნი და სწავლულნი მოიპო-

აკეთებენ, რადეაც რომ წყლის მოვარდნა აღარ დაიგვიანებს, და სხვა და სხვა.

ზარდა ამისა, რომელიმე ხმოსანი თანამა დასძრა რაზედმე კითხვა, სულ უბრალო, ნემსის დანაფასებზე უფრო ნაკლები? არა; ერთხელ, როდისმე ქალაქის თავს დაუხედნია ქალაქისთვის შავი. ჩასაწერისთინ, მეიდნებისთინ, მყარალი ქუჩებისთინ, სავაჭროსთინ? არა, არა და არა. შოველთვინ ხომ ღუბერნატორები, მელიქიშვილები, მთავარ-მმართველები არ იყლიან ზორში, რომ იმათის მეოხებითაც არის ველირსოთ ქუჩების დაწმენდა! სირცხვილით უნდა სწითლებოდეთ, სირცხვილით!!

და ეს სუყველა უმსგავსოება რათ ხდებოდა? იმისთვის, გორელეობ, რომ უთხოვ ხმოსანები ამოიჩინეთ. რათ გააშავეთ რიგინი კაცები, კაცები ჰ? იმიტომ რომ ბინძურათ ცხოვრება ატაროთ. აბა დაფიქრდით, დაიხედეთ თქვენს თავზე. მე, ღმერთმა ხომ იცის, თქვენგნივ არაფერს მოველი, გინების მეტს ამ წეროლის გამო; მაშ დაუჯერეთ ჩემს რჩევას და შემდეგი ოთხი

ვებიან, რომელთაც შეუძლია თხრობის ცხოვრების, ზნეობის და ჩვეულებების შესწავლა.

შეუძლია თუ არა ჩვენში სოფლის მასწავლებელს აღსრულება თავის მძიმე მოვალეობისა, როგორც ჩვენ ზემოთ დავასახელებთ? ამ კითხვაზე, დარწმუნებული ვარ, მხოლოდ ერთი პასუხი მიეცემა. ჩვენი სოფლის მასწავლებლების მდგომარეობა ისეთი სამწუხარო და შეუნატრელია ყოველის მხრით, რომ მათ არამც თუ შეუძლიანთ შესრულონ ის ვრცელი მოვალეობა, რომელსაც ჩვენ მათგან ვთხოვლობთ, არამედ თავის სპეციალურ პედაგოგიური დანიშნულების ასრულებაც კი უჭირთ.

ჩვენი სოფლის მასწავლებელი უმეტეს ნაწილათ ყმაწვილი კაცია; ის ცოტა თუ ბევრის სწავლის შემდეგ, როდესაც მოეკიდება თავის ხელობას, იძულებულია იცხოვროს ბნელ, უმეცარ საზოგადოებაში; ის მოკლებულია თითქმის ყოველ გვარ სამუშაოს, რომ როგორმე დააკმაყოფილოს თავის გონებითი მოთხოვნილებანი; რაც უნდა ნიჭიერი და ნასწავლი იყოს, ის მაინც საჭიროებს გონებით საზრდოს, რომელსაც მისთვის შეადგენს მეცნიერება და ლიტერატურა; თუ ეს საზრდო ვერ ჰპოვა, ვერ გააგრძელა თავის გონების შემუშავება და მით ვერ გაამხნევა თავის თავი უმეცრებასთან ბრძოლაში, მაშინ მას სძლევს ცხოვრების უწმინდურება. ამის შემდეგ მას, რასაკვირველია, დაედება იგივე ფერი, რომელიც ადევს გარეშეშო წრეს.

ეს მოვლენა სწორეთ სამწუხაროა და მის მოსასპაბლათ ყოველი ლონის-ძიება და საშუალება უნდა მოიხმარებოდეს. თუ ეს ღონის-ძიება მოეწახეთ, ხალხის განათლების საქმე გაუმჯობესდება და მასთანავე მასწავლებლების ბედიც შეიცვლება.

წლისთვინ აირჩიეთ რიგინი პატრონები ქალაქისა; ნუ შეხედეთ გვაგონობას, ხალხოსნობას, სარწმუნოებას; ნუ იტყვით ეს სომეხია, ეს ქართველია, ის რუსია, ან ფრანგია, სარწმუნოებით. მინც საქმის გამკეთებლები, რიგინი მსჯელობის კაცი შეგხედეთ, ის აირჩიეთ, თუნდ ის აფრიკელიც იყოს; მხოლოდ კი ეცხოვროს ზორში და იცნობდეს იმას ყოველის მხრივ. პატიობას, შენ-ჩემობას თავი დაანებეთ, თორემ ღირბელებით სახელი გაგიტყდებთ—უთაგოები დაგერქმევთ, ანდაზად გაგაკეთებენ და შთამომავლობა შეგაჩვენებს, წყევლით მოგიგონებს...

„მთილისის ფურცლიდამ“ თუ „განცხადებდამ“ იყო მოყვანილი „ღროებაში“, რომ ზორს სამი კანდიდატი ჰყავს ჯერ-ჯერობით ქალაქის თავად. აი თუნდ ეს კანდიდატების არჩევანი ავიღოთ. აბა დახედეთ: სრულს უთხოვას არ იჩენთ? ამიროვი ქალაქის თავი! ქალაქის თავი ამიროვი! მუნდ ამიროვის თავი ქალაქის! ხა, ხა, ხა! მათათ უთაობა დაგწამეს და ამიროვი რომ აირჩიოთ, ხომ, ხომ უგუჯობინდ

თუ მასწავლებელს მიეცემა სა-  
შუალები, გააგრძელოს თავის გონე-  
ბის შემუშავება, ის უფრო მხნეთ  
იქნება, უფრო შეიყვარებს თავის  
საქმეს; ამ შემთხვევაში უფრო ადვი-  
ლათადაც აღასრულებს თავის პედაგო-  
გიურ დანიშნულებას და უფრო გულ-  
მოდგინეთ და მსურველეთა მიღებს  
მონაწილეობას ხალხის გაჭირვებაში;  
უფრო ადვილათ უწინამძღვრებს ხალხს,  
უფრო დააკვირდება იმის ცხოვრებას,  
ბუნებას, ჩვეულებას და ზნეობას;  
უფრო ადვილათ გამოაშკარავებს მის  
ღირსებას და ნაკლულეფანებას და  
დაიცავს მას იმ პარანტიზმისგან, რომ-  
ელთაც ასაზრდოებს მათი უსინდისო-  
ბა, უზნეობა და ხალხის უმცირესობა.  
თუ მასწავლებელი ამისთანა მდგო-  
მარეობაშია, ის როგორც გონებით  
განვითარებული კაცი და მასთანვე  
ხალხის ცხოვრების უკეთ მცოდნე,  
დაეხმარება ჩვენს ადგილობრივ ლი-  
ტერატურას ყოველის ღონისძიებით  
და მიიღებს მასში მონაწილეობას. მა-  
შინ, რასაკვირველია, ჩვენი ადგი-  
ლობრივი ინტერესები, ჩვენი ქვეყნის  
ბუნება უფრო საფუძვლიანათ შეის-  
წავლება და ეს, დიდ სარგებლობას  
მოუტანს ჩვენს ქვეყანას. ჩვენი ქვე-  
ყანა ერთობ მდიდრად შემკულია ყო-  
ველის მხრით და ბევრ მასალას წარ-  
მოადგენს შესამუშავებლათ მეცნიე-  
რებისა და ლიტერატურისათვის; ჩვენი  
ქვეყანა ჯერ თითქმის ხელ-უხლებე-  
ლია ამ მხრით და ეს გარემოება, რა-  
საკვირველია, ხელს უშლის ჩვენის  
წარმატების საქმეს.

მართი საშუალებათგანი ჩვენი აზ-  
რის ასრულებისათვის არის მომჭაფი  
ბიბლიოთეკის დაარსება, რომელიც  
შესდგება ყოველ გვარ წიგნებიდან,  
საუკეთესო ჟურნალ - გაზეთებიდან  
სამშობლო და რუსულს ენაზე.

იქნებით. მე ამბობ, ვერას ვიტყვი;  
მკითხველს ესთხოვ, რომ გაიხსენოს  
სტატია: „ხმა პროვინციიდან“ (წერი-  
ლი მეოთხე „ღრუბის“ № 108-ი) და  
იქიდან ცხადად დაინახეს, რა ფრინ-  
ველიც ბრძანდება ბატ. ამბროვი, ის  
ამბროვი, რომლის მამამ ბორს მამუ-  
ლები ჩამოაცალა, წაართვა, რისგუ-  
ლისათვისაც მთელმა ქალაქმა საქო-  
ლავი აუგო იმას, რომელიც სამეი-  
ლიშვილად ბ.ბ. ამბროვების ძეგლად  
დარჩება ბორში და ყოველს საწყალს  
გორელს მოაგონებს წართმეულს მა-  
მულს და ლანძღვა-გინებას შეათვლე-  
ნინებს. პირიქით, პირიქით ბატონე-  
ბო!

მეორე დასახელებული კანდიდატი  
გახლავს ბ. ბუღიშაძე-მეილი; მამა რომ  
ეთქვათ, სჯობდა. ეს ქალაქს  
კარგად იცნობს, კაცმა ტყუილი არ  
უნდა სთქვას, მაგრამ ქალაქის ხაზი-  
ნის შენახვა კი კარგად არ იცის...  
დევუტატობაში დაუმტკიცა ეს ბორ-  
სა. ახლა შეიღისა კი რა მოგახსენ-  
ოთ: იმას მიუღია სწავლა სამაზრო  
სასწავლებელში, მერე ყოფილა, მეო-  
ნი პრიკაშიკათ, შემდეგ ალიხანოვის

ამ გვარი ბიბლიოთეკა დიდს შემ-  
წოებას მისცემს სოფლის მასწავლებ-  
ლებს და წახალისებს არა მარტო  
მათ, არამედ ბევრ ნიჭიერ და ნაწავლ  
ყმაწვილ კაცს გააბედნიერებს, ხელი  
მოჰქიდოს სოფლის მასწავლებლობის  
ხელობას.

პრინციპალურათ ჩვენი აზრი შე-  
ურყეველია; მისი დარღვევა არასფერი  
ღონისძიებით არ შეიძლება. წინააღმ-  
დეგად შეიძლება მხოლოდ იმის თქმა,  
რომ მატერიალური საშუალება არ  
არის და თვით მოძრავი ბიბლიოთე-  
კის გამართვა ძნელი შესასრულებელი  
არისო. საშუალება თუ არ არის, მისი  
მოპოვება მომავალში მაინც შესაძლე-  
ბელი საქმეა, თუ დაგვეთანხმებიან,  
რომ ჩვენი აზრის განხორციელება  
აუცილებლად საჭიროა. ამის შემდეგ  
არც საქმის ორგანიზაცია გასჭირდება;  
ეს მხოლოდ პრაქტიკულ მოსაზრებას  
და განხილვას მოითხოვს და ეს შე-  
უძლებელი არ იქნება, თუ რომ კაცმა  
სურვილი და რწმუნება გამოაჩინა საქ-  
მის აღსასრულებლათ.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენს აზრს ჯე-  
როვან ყურადღებას მიაქცევს „წერა-  
კითხვის გამავრცელებელი საზოგა-  
დოება“.

ა. ნა — დი.

#### ახალი ამბები

რუსეთის ყველა ქალაქები სჩოდ-  
ნენ, რომ ქალაქის რჩევის ხმონები  
თავის დროზე არ დაიარებიან რჩევე-  
ბის სხდომებზე და ამის გამო საქ-  
ლაქო საქმეებს დიდი დაბრკოლება  
ეძლევათ. ამ გვარი საჩივარი ჩვენი-  
ბურ ქალაქების ხმონებზედაც არა  
ერთხელ გამოცხადებულა საზოგადოე-  
ბაში და ბეჭდვითაც.

მთავრობამ მიიღო ეს გარემოება  
მხედველობაში და „მმართველობის

მეთვენეთ სალიანში. ამბობენ, იქ  
კეკა უპოვიაო. და ახლა აქ მოსულა  
იქ ნაპოვნი ჭკუით აქ ბედის საპო-  
ნელათაო. რამდენად მართალია, არ  
ვიცი, მხოლოდ ეს კი ვიცი, რომ ამ  
კანდიდატების დამსახელებელს ამათი  
საცინლათ ადგება ნდომია და უფრო  
გორელებსა... მაგრამ რაც უნდა  
იყვეს ეს ბუღიშაძე-მეილი სჯო-  
ბიან ბატ. ამბროვსაო. ეს პირიქით,  
მამა ასწავლის ქალაქის მოვლას, ნუ  
გეშინიანთ!...

„ბუღიას ციკვერა სჯობდაო და ცი-  
კვერას ბუღიანი თხაო“ მესამე მოხსე-  
ნებული კანდიდატი ციკვერასაც სჯო-  
ბიან და ბუღიასაც სვინილისითაც, პა-  
ტიონებითაც, ჭკუითაც და გონები-  
თაც; მაგრამ... მაგრამ, ვაი ეს არის,  
ქართველი! ეს მესამე გახლავთ მ.  
პერესელიძე, ბუღალტერი ხაზინისა და  
თვით სამმართველოისიც. მსლა ბორ-  
ში ვინც არიან, ყველაზე თავს ეს  
სდგას და თუ სხვაგნამ მოიყვანე-  
ბენ იმ ბორის შეილებს, რომლებიც  
სხვათა ქალაქებში სცხოვრობენ, —  
ამისი კი რა მოგახსენოთ. მეონია

მოამბეში“ დაბეჭდილია ახლა ამ საგ-  
ნის შესახებ ახალი კანონი. ამ კა-  
ნონის ძალით, პეტერბურლისა და  
მოსკოვის ქალაქის რჩევის სხდომა  
კანონიერად ითვლება, თუ ამ სხდო-  
მებზე ყველა ხმონების ერთი მეტე-  
თედი ხმონები უნდა დაესწრონ. (მაგ.  
თფილისის ქალაქის რჩევის სულ 72  
ხმონი შეადგენს. ამ რიცხვიდან თუ  
24 ხმონი მოვიდა კრებაზე, ეს კრე-  
ბა კანონიერად ჩაითვლება.) თუ პირ-  
ველად დანიშნულ სხდომაზე კანო-  
ნიერი რიცხვი ხმონებისა არ გამო-  
ცხადდა, სხდომა არ შესდგება და  
თავს-მჯდომარე (ქალაქის თავი) მეო-  
რე სხდომას ნიშნავს, შეიდი დღის  
შემდეგ, და ეს სხდომა, ახლის კანო-  
ნით, რამდენი ხმონიც უნდა დაეს-  
წროს, თუნდა ათიც, მაინც კანონიე-  
რად ჩაითვლება და უფლება აქვს იმ  
დღისთვის დანიშნული საქალაქო საქ-  
მეები განიხილოს და გარდასწყვი-  
ტოს.

მართს რუსულ გაზეთში, პირიმში  
ფილოქსერის გაჩენის თაობაზედ, იწე-  
რებიან:

პირიმის ვენახებს ფილოქსერა, უე-  
ჭველია, დიდ ზარალს ვერ მისცემს,  
რადგან აქ ერთის მხრით ნოტიო ჰავა  
და მეორეს მხრით ტყეები დაბრკო-  
ლებენ იმის გავრცელებას. ამის და-  
სამტკიცებლად საქმაო მოვიყვანოთ  
ის გარემოება, რომ, თუმცა, როგორც  
ახლა აღმოჩნდა, შეიდი-რვა წელიწა-  
ლია, რაც პირიმში გაჩნდა ეს ვაზის  
საშინელი სენი, მაგრამ იმან მხო-  
ლოდ მცირე მანძილი მოიკავა და  
მხოლოდ რამდენიმე ვენახი გააფუ-  
ჭა.

„სულ სხვას უნდა მოველოდეთ,  
თუ ღმერთი გაწყრა და ძველსაში  
გაჩნდა ოდესმე ფილოქსერა. მთელი  
ძველსაში მოფენილია ტყის ვაზით, იქ

ისინი არ დასტოვებენ სამსახურს ორა-  
სის თუმცის გულისთენ.

მოსკოვის კანდიდატებს პარ-  
ტიებიც თურმე ჰყავთ, უკანასკნელი  
კი ძალათი ჰყავს მოკერებული პირ-  
ველებთან, ამას პარტია არა ჰყავსო.  
ეს პარტიები ერთმანეთს დასჭამენ,  
ერთმანეთს დატყუებენ, დაშავებენ,  
და ქალაქის თაობა ერთ ვისმე ოხერს  
დარჩება; მაგრამ ვისაც უნდა დარჩეს  
ამბროვს მაინც ემჯობინება. სწორეთ  
გითხრათ, ამბროვს ამორჩევას, მე  
მყავს ერთი კანდიდატი, რომელიც  
ისე სჯობიან ამბროვს, როგორც  
„ბეგლარს მახტანგი“; მაგ. რითი არა  
სჯობს ამბროვს ბაზანიკი ნიკოლაი,  
სტეფანოვი! სმის დაყენებას, აი ეს  
რომ დაყენოთ დიდათ დაფალბო  
ბორს, მე და ჩემმა ღმერთმა!

მეჰ, ნეტა რას ვებდობ და ვაწვა-  
ლებ საცადავ კალამს! ბორელებს  
რომელს საზოგადოებაში გამოუჩე-  
ნიათ თაოსნობა, რომ ეხლა გამოი-  
ჩინონ! „მიყვარდა, მამავ, გუთანი,  
დაწექ და დიდიხეო“, სწორეთ გო-  
რელებზე ნათქვამი. არაფრის გაკე-  
თება არ უნდათ და როცა საქმე ხდე-

(განსაკუთრებით ძახეწმისა და სხვა-  
ლაზე მეტი ვენახებია) ისეთი სინო-  
ტიე არ არის, როგორც პირიმში და  
ეს ორი გარემოება ძალიან ხელს  
შეუწყობს ფილოქსერის გავრცელე-  
ბასა.“

რაღაც შავი ბედი დასდევს ამ ჩვენ  
შოთის ნავსადგურს: გვეწოდნენ, იმედს  
გვაძლევდნენ, რომ დღე-დღეზე ნავ-  
სადგური მზათ იქნებოდა, მუშაობა გა-  
ცხადებით მიდისო, და დღეს ორი  
მოთავე ამ საქმისა: მიეჯარადრე ქალ-  
კენგაგენი და ამშენებელი ბერმის-  
ტერი — თითქმის ორივე ერთ დროს  
გარდაცვალებულან, ერთი პეტერ-  
ბურში და მეორეც შოთში!

მაი თუ ამან კიდევ შეაფერხოს შო-  
თის ნავსადგურის საქმე!

ბუშინ, კვირას, არწრუნის თეატრ-  
ში იყო ჩვეულებრივი წარმოდგენა  
მუთათისიდან ახლად დაბრუნებული  
ქართული ტრუპისა. წარმოდგენის  
აღ. მუთათისის სამ მოქმედებიანი კო-  
მედია „უცნაური ადამიანი“ და ვოდე-  
ვილი „ბნელ-ოთახში“. ახალი კომე-  
დია. ბ. მუთათისის ერთობ სუსტად  
გამოვიდა სცენაზე უფრო თვითონ  
კომედიის სისუსტის გამო, ვინც მო-  
თამაშეების წყალობით. ინტრიგა არის;  
თითქო აზრის ნაპერწკალიც მოიპო-  
ვება, მაგრამ ისეთი მკრთალი, რომ  
ძნელათ თუ დაინახება.

„ბნელ ოთახში“, მ. საფაროვის  
ხელოვნურის თამაშის წყალობით,  
მშვენიერად წავიდა. მაგრამ ამასაც,  
მ. აბაშიძესაც და ნ. მხეიძის ქალსაც  
როლის უცოდინარობა უშლიდა ძა-  
ლიან ხელს. რა უბედურობაა, ღმერთ-  
მანი, — ეს პატარა ლაზათიანი ვოდე-  
ვილი, მგონი, ოც ჯერ უთამაშნიათ

ბა, მაშინ კი დიდს ჰყვირიან. უსა-  
ფუძვლოთ, უსარგებლოთ ყვირილსა  
ერთი კიდევ გავიმეორებ — ის არა სჯო-  
ბიან, რომ რიგიანი ხმონები აარჩიოთ.  
თუ ხმონები სვინილისიანები, ხალი-  
სიანები, განათლებულები, ერთის  
სიტყვით ისეთი პირები, რომლებიც  
ქალაქის საქმისთენ ისე ეცდებიან,  
როგორც თავის საკუთარი საქმისთენ;  
ისე შეწყუბდებიან, ისე ინალელებენ,  
ისე გული დაეწვით, როგორც თა-  
ვიანთი საკუთარი საქმისთენ იქნე-  
ბიან, მაშინ ქალაქს აღარა უშავს-რა.  
ამისთანა პარები მოიპოვებიან ქ. ბორ-  
ში; იციან კიდევ ამომრჩეველებმა ვინც  
არიან ისინი, მაგრამ არ უნდათ, და  
ერთი ჰკითხოს კაცმა რატომ არ უნ-  
დათ? იმიტომ რომ საქმის გაკეთება  
შეუძლიანთ, სხვა არაფერი.

მეჰ ჭკუა და უანგარობა კი საქო-  
ნელი ყოფილა, მაგრამ მაშლას გორე-  
ლებს ამაში წილი არ უდევსო.

და როლები კიდევ მაინც ვერ დაუსწავლიათ!..

\* \*

შველახედ ბედნიერი აღდგომა ერთს თათარს გაუთენდა წელს:

მს თათარი სიმბირიდან გამოქცეულიყო და ბევრის წვალების შემდეგ თფილისამდინ მოწვია. მაგრამ ეთქვა გულში: უეჭველია, კიდევ დამიჭერენ და გამგზავნიანო, და ამის გამო გარდაეწყვიტა, ენახა სადმე ღიდი მთავარი ძაგასის ნამესტნიკი და შეხვეწნოდა პატიობა. მართლაც აღდგომა დღეს, თათარს ეღარაჯნა ნამესტნიკისთვის სასახლესთან და გამობრძანებულიყო თუ არა, მუხლებზე დაეარდნილიყო და ტირილის ხმით დაეწყო რაღაც თათრულად ვედრება, ალბათ დამნაშავე ვარ და ჩემი სიცოცხლე ან სიკვდილი შენს ხელთ არისო!

ღიდი მთავარს ებრძანებინა სასამართლო პალატის თავმჯდომარისათვის წაეყვანათ ეს თათარი და ამ თათრის გარემოება მეორე დღეს მოეხსენებინათ იმისთვის.

მეორე დღეს მართლა ბ. აგალინს მოეხსენებინა ღიდის მთავრისათვის თათრის გარემოება. ღიდი მთავარს მოესმინა თუ არა ამ უბედურ თათრის ამბავი, იმ წამსვე მოეხსენა განკარგულება, რომ ის გაანთავისუფლონ.

\* \*

შოთიდან გვწერენ:

„ღიდა დილის მეოთხე საათიდან ცეცხლმა გაანადგურა საუკეთესო ფარჩეულის და კოლონიალური საქონლის მაღაზიები. ღიდაც მთავარი—ურთის მემკვიდრეების მაღაზია, ძაგაროვის, პაპისოვის და სხვების სულ რიცხვით თორმეტი. საშინელი უთურობა ცეცხლის დროს. ბევრი საქონელი გადაარჩინეს ცეცხლს; მაგრამ რაც გადაარჩინეს უმეტესი ნაწილი დაიტაცეს ქურდებმა. შევლა არისო იყო. შიშო ვედროვებმა ვერა გააჩივეს რა.“

„ჩვეულებრივ ზარალი დიდა, მაგრამ ნაზარალები კი არაფერ: ყველას როგორც სახლები, ისრე საქონელი დაზღვეულა ჰქონებოთ.“

ამისთანა დიდ ზარალს შემდეგაც ერთს ვერაფერს ნახავ, რომ საქრობ იარაღების და მაშინების ქალაქისთვის შეძენაზედ ხმას იღებდეს.“

## განცხადებანი

შოთლანდიის ქუდები — 1 მან.

25 კაპეიკიდან, ყმაწვილის წინდები, ღუფინი—1 მან. და მეტი, ტანისამოსის ცოცხი 50 კაპეიკიდან, ბრეტანის მეტალის ჩაინიკები—1 მანეთიდან და სხვა—ისყიდება ლონდონის მაღაზიაში, ამერიკის ბანკის ქვეშ.

10—1

ათელი ვაგონი გემრიელი მურაბები—1 მან., პორტ-ვეინი და ხერე-

სი—ბოთლი 1 მან. 20 კაპ., კონიაკი—2 მან.; დიდი ძალი საუკეთესო ჩაი—1 მან. 5 კაპ. 2 მანეთამდინ ინგლისის მაღაზიაში. 10—1

### „ვეფხისტყაოსნის“

შესასწორებლათ შემდგარი რედაქცია სთხოვს უფლის უფროსებს, ეპარხიზის მმართველთა უფლებების და გუბერნიის მარშლებსა და ყოველთა ქართული მწიგნობრობის მოყვარეთა იშოვონ და დროებით გამოგიგზავნონ ქვემო-მოყვანილი აღრესით სელ-ნაწერა „ვეფხისტყაოსნის“. შემდეგ პოემის შეთანხმებისა წიგნი დაუბრუნდება პატრონს უმეტესაკლათ.

აღრესი: თიფლის. Канцелярия общества грамотности. Саперная улица, № 41. 8—3

ლონდონის მაღაზიაში კომერციული ბანკის ქვემოთ: საზამთრო ქუდები 2 მ. კარგები 4 მ. და 50 კ. ბავშვების წინდები, ტუჩკები, საჩაყები და სხვ. ძალიან იაფათ ისყიდება. 10—4

მთელი ტანისამოსი ანუ პალტო—15 მანეთად. რევოლვერები—4 მანეთიდან, ხველის კანფეტები გორვანქა 60 კაპ. შინაქინის ღვინო და ხილის მარილი ციებისათვის—1 მან. და 50 კაპ. ხერესი და პორტ-ვეინი—1 მან. 20 კაპ. ინგლისის მაღაზიაში.

10—4

მიღებულია ჩაი, პირველი მოსავლისა, რევოლვერები, საჩაყები, კანფეტები, მურაბები და სხვ. და სხვ. 25 პროცენტით ნაკლებ იყიდება მიწამ სადმე სხვაგან — ინგლისურ მაღაზიაში არწურის გალერეაში.

12—5

### ლონდონის მაღაზია

პრეენის მოედანზე № 2, კომერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ქაისტის და ჩინეთის პირველი მოწვევის ჩაის გასაყიდებლად და საუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდონის) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაყი, კიკების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერობი, სასურნებლის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შოთკი წინდების, ჩულკების, კარანდების, რკინის კალმების და სხვ...

(100—8)

წარმატებაზე შემთხვევით არა არის-რა, ამაზედ შეიძლება დარწმუნდეს ყველა ინგლისის მაღაზიაში, არწურის გალერეაში, სადაც მიღებულია დიდი ძალი ჩაი 1 მოკრებისა, შოკოლადი, კაკაო ჭრისა და სხვა საქონელი: ქინის ღვინო და ხილის მარილი ციებისათვის; ხველების კანფეტები და სხვ. აგრეთვე დანა-ჩანგალი, ახლის სისტემის თოფები და სხვ. 15—12

## თფილისის ტყავის ქარხანა

შუა-ბაზარში, მეტყავეების რიგზე, მართველოვის სახლებში გაგხსნის საწყობი (სკლადი) ყოველ-გვარ ტყავის საქონლისა და მაქვს ვაჭრებისა და მომხმარებელთათვის სხვა-და-სხვა სპეციალური ტყავეები: წალავის ლანჩების (პალაშის ტყავეები), ცხენის, იუხტის და აპოიის სამონაწერი; აგრეთვე ვიტიპაშები, წალავის ქაღალდი (გალოვკი), სირომიანის ტყავეები, უნაბი-რისა და მაშინების ჩამნები.

შველა ეს საქონელი ისყიდება იმ ფასად, რა ფასათაც ზავოდებში ისყიდება ხოლმე. 10—8

Съ 1-го января 1881 г. въ С.-Петербургѣ будетъ издаваться

БЕЗЪ ПРЕДВАРИТЕЛЬНОЙ ЦЕНЗУРЫ

## ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛЪ

въ которомъ примутъ участіе слѣдующіе художники: М. Водкинъ, П. Брюлловъ, В. Верещагинъ, В. Васнецовъ, А. Куинджи, И. Крамской, баронъ М. П. Клодтъ, Л. Лагорио, К. Лемохъ, А. Ленскій (артистъ московскихъ императорскихъ театровъ), В. Маковский, В. Масаловъ, А. Мещерскій, В. Перовъ, В. Полѣновъ, И. Рѣпинъ, К. Савицкій, Суриковъ, И. Шишкинъ, Шишковъ и А. Шарлемань.

Приступая къ изданію совершенно новому по характеру, считаемъ долгомъ нѣсколько объясниться съ читателемъ. Если кто думаетъ, что художественный журналъ—что то научное, сухое, специальное, тотъ ошибется, подводя наше изданіе подъ эту категорію. Ничего особенно научнаго, ничего сухого, специальнаго, ни даже систематическаго курса исторіи искусства редакція предлагать своимъ читателямъ не намѣрена. Для науки, для исторіи искусства существуютъ академія, существуютъ университетскія кафедрѣ, наконецъ отдѣльныя спеціальныя сочиненія, цѣлыя библіотеки; наша же задача—это искусство въ той живой органической связи съ интересами общества, которыя составляютъ настоящую потребность каждаго мыслящаго и развитаго челоѣка

При такой задачѣ программа журнала заключается въ слѣдующее: 1) Беллетристическій отдѣлъ: повѣсти, рассказы, сцены и т. п. по преимуществу изъ жизни русскихъ художниковъ. Біографія художниковъ (въ повѣствовательной формѣ), а также и замѣчательныхъ дѣятелей въ искусствѣ. 2) Критическій отдѣлъ: критическія статьи по искусству. Художественный фельетонъ. Рецензіи и критическія замѣтки, касающіяся, какъ художественныхъ произведеній, такъ равно и книгъ по искусству. 3) Смѣсь. Теоретическія и практическія указанія и совѣты какъ художникамъ, такъ и любителямъ. Обзоры дѣятельности русскихъ художественныхъ обществъ и школъ, существующихъ въ Россіи. Разныя мелкія замѣтки, извѣстія и слухи. 4) Последняя страница. Справочный отдѣлъ, въ который войдутъ по преимуществу отвѣты на запросы публики и художниковъ. 5) Приложение: «художественный альбомъ».

«Художественный альбомъ» будетъ состоять изъ двухъ отдѣловъ. 1) рисунковъ и портретовъ въ форматѣ самаго журнала и 2) картинъ въ форматѣ большаго альбома.

Практикующаяся во всѣхъ періодическихъ изданіяхъ гравюра на деревѣ оказывается для исполненія художественныхъ произведеній въ большинствѣ случаевъ исполнѣ несостоятельной; вслѣдствіе чего всѣ рисунки и портреты въ «Художественномъ Журналѣ» будутъ исполнены посредствомъ фотолитографіи, фотогравюры и гравюры на мѣди (офортъ).

Журналъ будетъ выходить ежемѣсячно въ форматѣ большаго книги отъ трехъ до четырехъ листовъ.

Годовые подписчики получаютъ журналъ съ приложеніемъ, которое будетъ состоять изъ 20 или 24 оригинальныхъ рисунковъ и портретовъ, прилагаемыхъ ежемѣсячно при журналѣ и отдѣльнаго большаго альбома, который данъ будетъ въ видѣ преміи въ концѣ года. Полугодовыя подписчики получаютъ журналъ съ рисунками и портретами, но безъ преміи.

Цѣна журнала съ приложеніемъ, съ пересылкой и доставкой на годъ 6 руб. и на полгода—4 руб.; безъ приложенія на годъ 3 руб. и на полгода 2 руб.

Въ 1-мъ номерѣ въ беллетристическомъ отдѣлѣ будутъ помѣщены „Воспоминанія и характеристики: 1) В. В. Верещагинъ во время войны“—В. И. Немировича-Данченко; въ критическомъ отдѣлѣ „Талантъ А. И. Куинджи и значеніе этаго таланта для русскаго искусства.“ Обзоры выставокъ и смѣсь. Въ приложеніе къ первому войдутъ: портретъ съ факсимиле А. И. Куинджи и новая картина В. Маковского „à quatre mains“.

Подписка принимается: въ Петербургѣ—въ конторѣ редакціи, на углу Невскаго и троickaго (подъѣздъ съ Троickaго), д. Ростовцева, кв. № 24; въ книжн. магазинахъ «Нов. Времени» и Мамонтова, на Невскомъ, и въ астампныхъ: Фельтена и Бегрова, на Невскомъ; въ Москвѣ, въ книжныхъ магазинахъ: «Новаго Времени», на Никольской; Мамонтова, на Кузнецкомъ мосту и въ астампныхъ: Доцарю, на Кузнецкомъ и Осберга на Петровкѣ.

Гг. иногородные благоволятъ адресоваться исключительно въ контору редакціи. Петербургъ, уголъ Невскаго и Троickaго, домъ Ростовцева.

Редакторъ-издатель Н. АЛЕКСАНДРОВЪ  
(3—3)